წელიწადი პირველი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

თბილისი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები:
საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

ოთხშაბათი, 6 აპრილი, 1921 წ.

№ 29 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 29

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ამით აუწყებს ს. ს. ს. რ. ყველა სახალხო კომისრებს და აგრეთვე საბჭოთა დაწესებულებების პასუხისმგებელ ხელმძღვანელებს ცენტრალურ კომიტეტის და ადგილობრივ პარტიულ კომიტეტების მიერ სამსახურისათვის გაგზავნილი პარტიის წევრნი და კანდიდატნი უნდა მიღებულ იქმნენ სამსახურში იმავე დღეს. წევრთა და კანდიდატთა მიღება დაწესებულების გამგეთა ან პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა მიერ, უნდა სწარმოებდეს ყოველ რიგს გარეშე.

ს. კ. პ. ც. კ. მდივანი: ლ. დუმბაძე.
საორგ.—საინსტ. განყოფილების გამგე დონენკო.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დადგენილება

თანახმად იმ მოსაზრებისა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არასოდეს არა ჰქონია მიზნათ არავითარი შურის ძიება იმ პირთა და ორგანიზაციათა მიმართ, რომელნიც ამა თუ იმ მიზეზით წარსულში ეწინააღმდეგებოდნენ მუშათა და გლეხთა მთავრობას, საქართველოს რევკომმა გამოსცა ბრძანება მათი სრული ამნისტიის შესახებ. მიუხედავათ ამისა, შინაგან საქმეთა კომისარიატს ხელთ აქვს უტყუარი ცნობები, საიდანაც სჩანს, რომ ზოგიერთი პირები თუ ჯგუფები, მაინც განაგრძობენ სხვა და სხვა საშუალებით აგიტაციას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და მით სურთ გაძნელონ საბჭოთა აღმშენებლობის პროცესი და ამასთან მჭიდროდ დაკავშირებული მშრომელთა მასსების მიერ მშვიდობიან და შემოქმედებით მოღვაწეობის დაწყება. სცნობს რა საჭიროთ ძირიანათ აღმოფხვრას ყოველგვარი კონტრრევოლიუციონური მოქმედება, შინაგან საქმეთა კომისარიატი საყოველთაოდ აცხადებს, რომ მუშათა და გლეხთა მთავრობა იძულებულ იქნება მიმართოს რეპრესიებს იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც შენიშნულ იქნებიან მშრომელთა გარშემო ისეთი მავნებელი ატმოსფერის შექმნაში, რომელსაც უარყოფითი გავლენა აქვს საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობის ყველა მიზნების განხორციელებაზე.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი კვირკველია.

ბრძანება № 3. კონტრ-რევოლიუციასა, ჯაშუშობასა, სპეკულიაციასა, სამსახურში დანაშაულის ჩადენასა და ძარცვა-გლეჯასთან მებრძოლ საქართველოს საგანგებო კომისიისა.

ყოველდღიური სისტემატიური მუშაობა საქართველოს საგანგებო კომისიისა ბოროტ სპეკულიაციის და ვაჭრების მიერ ფრიად საჭირო სურსათის დამალვასთან ბრძოლის სფეროში იძლევა უტყუარ მასალას იმის დამამტკიცებელს, რომ მრავალი ვაჭრები, როგორც უკვე დაჭერილნი, ისე ჯერ თავისუფლათ მყოფნი, განზრახ არ ასრულებენ ბრძანებას № 2, დაბეჭდილს ყველა გაზეთებში, გადამალულ საქონლის საჯაროთ გაყიდვის შესახებ. ფრიად საჭირო საქონელი არა თუ არ იყიდება საჯაროთ, პირიქით, პატრონები სპობენ კიდეც საქონელს და მიწაში მარხავენ.

ასეთი მოვლენა არა თუ ანორმალურია, ეს არის დანაშაული, რომელიც უნდა დაისაჯოს სწრაფათ და ულმობელათ. ამიტომ რეპრესიების და სისხლის ღვრის ასაცდენათ, საქართველოს საგანგებო კომისია კიდევ ერთხელ უკანასკნელათ აცხადებს თავის ბრძანებას № 2 და ამასთანავე აფრთხილებს ყველა ვაჭრებს, ვისაც მაღაზიებში არ გამოუტანია დამალული საქონელი და ჩუმათ ყიდის, რომ ყოველი ვაჭარი, ვისაც კი აღმოაჩნდება გადამალული საქონელი ორის დღის შემდეგ დღიდან ამ ბრძანების გამოცხადებისა, დაისჯება უმაღლესი სასჯელით—დახვრეტით და ყოველივე ქონების ჩამორთმევით. ეს სასჯელი მიესჯება არა მარტო ვაჭრებს, არამედ მის ოჯახის წევრებსაც, რომლებიც დაეხმარებიან საქონლის დამალვაში. დანიშნულ ვადის შემდეგ ვაჭრების განცხადება საგანგებო კომისიაში საქმის გარჩევის დროს აღნიშნულ ბრძანების არ ცოდნის შესახებ მხედველობაში არ იქნება მიღებული.

შენიშვნა: ყველა ისინი, ვინც თავის ნებით გამოაჩენენ დამალულს საქონელს არა მარტო აღნიშნულ ვადაში, არამედ მის შემდეგაც, არ იქნებიან დასჯილნი.

საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ცინცაძე.

დიდი საქმის დასაწყისი

დაწყებულ აღმშენებლობითი მუშაობასთან პარალელურათ, ბრძოლა კონტრ-რევოლიუციისა და სპეკულიაციის წინააღმდეგ კანონიერათ იპყრობს რევოლიუციონური მთავრობისა და მისი ორგანოების სრულს ყურადღებას. ეს ორი მომენტი მჭიდროთ გადაჯაჭვულია ერთმანეთზე, ისინი შეადგენენ ორ აუცილებელ ატრიბუტს ჩვენი ყოველდღიური მუშაობისას ერთი გარკვეული მიზნით: მუშურ-გლეხური საბჭოთა სახელმწიფოს ასაშენებლათ და განსამტკიცებლათ ჩვენს ქვეყანაში. შეუძლებელი იქნება სისტემატიური ბრძოლა კონტრრევოლიუციასთან და სპეკულიაციასთან თუ არ შევქმენით ადგილობრივ ადმინისტრატიული-აღმასრულებელი აპარატი, ხოლო თავის მხრივ გაძნელებული იქნება ამ აპარატის მოწყობა დამშლელ შავ ელემენტებთან უბრძოლველათ. ამ მხრივ სწარმოებს ენერგიული მუშაობა: ცენტრები და პროვინცია მოფენილი შეიქმნა ადგილობრივი რევკომებით, რომლებიც თანდათან ძლიერდებიან და სარგებლობენ ხალხის თვალში მაგარი გამგებლობის ავტორიტეტით. საშინაო საქმეთა კომისარიატი და საგანგებო კომისია, ორივე თავ-თავის სფეროში წარმატებით ატარებენ შავბნელ ელემენტებთან ბრძოლაში აღებულ მაგარ კურსს.

მარა არის კიდევ ერთი სარბიელი, რომელზედაც დაუყოვნებლივ ამუშავება ყველა ჩვენ განკარგულებაში მყოფ ძალების უაღრესი მნიშვნელობის საქმეს წარმოადგენს ახალი რეჟიმისთვის. ეს არის სახალხო განათლების საქმე და სპეციალურათ სკოლის გარეშე განათლების საკითხი. ამ უკანასკნელს გვსურს მივაქციოთ დღეს ყურადღება.

ჩვენს, დაწყებითი სკოლებშია მოქცეული ახალგაზრდობა. წერა-კითხვის უცოდინარი ხალხის მოზარდი ნაწილი, ე. ი. ის, რომელიც დღეს-ხვალ უნდა ჩათრეული შეიქნეს მასიურათ ახალი ცხოვრების აღმშენებლობაში,—აი სწორეთ ეს ნაწილი ამდენხანს უყურადღებოთ იყო დატოვებული იმ როლის გამო, რომელიც უნდა ითამაშოს მშრომელი ხალხის ფართო მასებმა თავის სახელმწიფოს აგებაში და მის დაცვაში აუარებელ შინაურ და გარეშე მტერთაგან, საკითხი მისი სწავლა-განათლების პრაქტიკულ ნიადაგზე დაყენების შესახებ თანდათან იზრდება, და ხდება იმ „ხილულ, მარა უხილავ“ ზღუდეთ, რომელსაც საითაც არ უნდა წავიდეთ, რა საქმესაც არ უნდა მოვკიდოთ ხელი, გვერდს ვერ ავუხვევთ. ასეა ყველგან და კერძოთ რუსეთში, იგივეა, რასაკვირველია, ჩვენშიაც. ამ ნაირათ, ლიკვიდაცია წერა-კითხვის უცოდინარობის ხდება უდიდეს საქმეთ, რომელიც უცდის თავის მკეთებელს. რუსეთში ამ მხრივ სწარმოებს ისე, როგორც საერთოთ სახალხო განათლების სფეროში, ისტორიაში არ ნახული ენერგიის გაშლა, და შემუშავებულია მთელი სისტემა მუშაობის. იგივე საქმე წამოჭრილია ჩვენ წინ და თხოულობს ჩვენს ფრიად სერიოზულ ყურადღებას.

ამ მხრივ უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯები, რომელთაც ჩვენ სულითა და გულით, მთელი ენერგიით უნდა მივეგებოთ და კიდევ გავაფართოვოთ სფერო ამ ზომების გავლენის. ჩვენ სახეში გვაქვს საქართველოს რევკომის დეკრეტი ჯარის ნაწილებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ და ამავე მიზნით მუშათა შორის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს კულტურულ განყოფილების მიერ მიღებული ზომები. თანახმათ ამ ზომებისა განზრახულია—და უკვე სწარმოებს სათანადო სამზადისი—გაიხსნას ახლო მომავალში მთელი რიგი სკოლებისა მუშების ოჯახების წევრთა შორის წერა-კითხვის გასავრცელებლათ.

ამ დიდმა დასაწყისმა, ასეთმა თანადროულმა ინიციატივამ უნდა გადალახოს ფარგლები ხსენებული წრეებისა და კატეგორიების, გაიკაფოს ახლავე გზა ჩვენი სოფლის გულისკენ, მისი ფართო მოსახლეობისკენ, რომ მით გაუადვილდეს საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობა. სანამ საქმე რაიმე გარკვეული სისტემის ჩარჩოში ჩამოყალიბდებოდეს, საჭიროა, რომ ადგილობრივ ადმინისტრატიული ორგანოებისა და ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ენერგიული ჩარევით ფართოთ წაბაძული შეიქნეს პროფკავშირების ინიციატივა, რომ ამნაირათ წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია გახდეს ადგილობრივი ორგანიზაციების ერთ უცილებელ დაგადაუდებელ ფუნქციათ.

კითხვა იმის შესახებ თუ როგორ, სად და რა ძალებით მოეწყოს ამ საქმის კეთება—დამოკიდებულია, რასაკვირველია, ადგილობრივ გარემოებებზე. ახლავე კი საჭიროა, რომ მიზანი გარკვეულათ და ნათლათ დაყენებული იყოს და მის მალე მისაღწევათ საჭირო ძალებიც ამოძრავებული.

— **საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— **საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი**—პლეხანოვის ქ. 96.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი“.

— მე-2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ № 87.

— მე-3-მე რაიონის ბიურო— ავლაბარი, კახეთის მოედანი.

— მე 4 ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში.

მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— **საქ ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა**—ყოფილ „ევროპიულ სასტუმროს“ შენობაში. (რუსთაველის პრ. № 25).

რუსეთის კომუნისტურ პარტიის მე-10 ყრილობა

კამათი ც. კ. პოლიტიკურ მოღვაწეობაზე ამხ. ლენინის მოხსენების გამო.

შლიაპნიკოვი. ამხანაგებო, ლენინი გუშინ ამ ტრიბუნიდან შეგვეკითხა ვიზიარებთ თუ არა მუშათა ოპოზიციის ყველა ამხანაგები ზოგიერთ მუშათა აზრს იმაზე, რომ ჩვენ გვესაჭიროება შეკავშირების მაქსიმუმი? მე ვფიქრობ რომ ჩვენ შორის არ მოიძებნება არც ერთი ისეთი ამხანაგი, რომელიც წინააღმდეგი იყოს ამ შეკავშირებისა და, რომ ეს აშკარათ გიჩვენოთ ჩვენ თვით ჩვენი მაგალითით, ჩვენი შეკავშირებით, გიმტკიცებთ ამას. ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად არსებულ ერთსულოვნობისა, ჩვენს პარტიაში არა გვაქს ორგანიული კავშირი, პარტიის წევრთა და მის ხელმძღვანელ ორგანოთა შორის. ამას მე მოგახსენებთ არა თუ მარტო ჩემი პირად გამოცდილებიდან, ეს ყველა თქვენგანს მშვენივრად მოეხსენება. ჩვენ, ვლადიმერ ილიას ძევ, აღარა გვაქვს პარტიაში ის ურთიერთი მჭიდრო კავშირი, რომელიც გვქონდა წარსულ, არა ნაკლებ მძიმე მომენტებში ჩვენი პარტიის ცხოვრებისა, რევოლიუციის დაწყების პერიოდამდე. და ეს გაუგებარიც არის ამხანაგებო, რომ ესეთი მოწყვეტილობა ერთმანეთისაგან, სწარმოებს იმ მომენტში, როდესაც ჩვენს პარტიას უკვე ტეხნიკური საშუალებანი აქვს ხელქვეშ—რადიო, ფოსტაც, ტელეგრაფიც, ათასობით პარტიული მუშაკნიც, საბჭოთა აპარატიც, და მიუხედავად ამისა ჩვენ პარტიის შიგნით აღარ არსებობს ის ყოფილი კავშირი, რომელიც არსებობდა სულ ეხლახან, 1914 წელშიც და 1917 წელსაც. გეხსომებათ თქვენ, ვლადიმერ ილიას ძევ, როდესაც თქვენ ჯერ რუსეთში არც კი იყავით, როგორ ხვდებოდით, ყოველივე ფარულ პატარა ფურცელს, ყოველ ნაგლეჯს, რომელიც პარტიულ ორგანიზაციებს მოჰქონდათ მუშათა ცენტრებ-პიტერსა, მოსკოვსა, დონსა და ურალში, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოკლებულნი ვიყავით იმ ტეხნიკურ უმჯობესობას და კავშირს, აზრთა და გრძნობათა მთლიანობას—ყველა ეს სიკეთე ჩვენ თვალწინ იყო, ეხლა ეს აღარ არის. აი, ამხანაგო ლენინო, ამან დაბადა ის, რასაც თქვენ მუშათა ოპოზიციას უწოდებთ.

მაგრამ გავყვეთ შემდეგ. ვლადიმერ ილიას ძევ, თუ თქვენ თქვენს ანალიზში, ცხადათ აურევთ ერთმანეთში მუშათა ოპოზიციასაც, წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიასაც, ნამდვილ სინდიკალიზმსაც და ანარქიზმსაც, ყველა ამას დატოვებთ თავით და დაგვიკავშირებთ ჩვენ, მაშინ ამ ნიადაგზე მთლიანობას ჩვენს პარტიაში თქვენ ვერ შექმნით, პირიქით დიდ სიმწარეს ჩააწვეთებთ იმ მუშათა სულში, რომელნიც დღეს აქ იმყოფებიან. აი ასეთია საქმის გარემოება, ამხანაგებო; ასე რომ ძალიან დიდი სიფრთხილით უნდა გაუკეთოთ ანალიზი ყოველ მოვლენას.

ორგანიულ დაავადებას, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს პარტიაში, ჩვეულია საერთოდ არა მარტო ეს მოვლენანი. ამ ავადმყოფობის ნიშნებს ატარებს ცენტრალური კომიტეტიც და იმ საყვედურებზე, რომელსაც მუშათა ოპოზიციას გვიკეთებდენ, ვითომდაც ჩვენ ცუდათ ვიქცეოდით პარტიულ დისკუსიის წარმოების დროს პროფესიონალურ მოძრაობის შესახებ, ჩვენ აქ გადაწყვეტით უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ დავწერეთ ჩვენი თეზისები მხოლოდ ერთხელ და დავწერეთ ჩვენ ისიც სულ ბოლოს, თქვენ კი სწერდით მას პირველები,—თქვენ, ცენტრალურ კომიტეტის წევრნო. ჩვენ არ დაგვიწყია დისკუსიის წარმოება. ჩვენ მხოლოდ თქვენ ფეხდაფეხ მოგდევდით, მაგრამ მოვიტანეთ აქ ცოტა რამ ჩვენებური. აი მოდი დავიწყოთ მსჯელობა, სადაა სიმართლე—თქვენსკენ თუ ჩვენსკენ. აი როგორ არის საქმე თუ ჩვენ მცირეოდენ ანალიზსაც კი გავაკეთებთ. ის მიზნები, რომელიც წამოაყენეს აქ ამხ. ლენინმა და კრესტინსკიმ, დიდათ მნიშვნელოვანია, მათ გადაჭრას რამდენიმე წუთს ვერ მოასწრობ. ვლადიმერ ილიასძემ ილაპარაკა იმ სიმძიმეზე, რომელიც სჭირდება საომარ მდგომარეობიდან გადასვლას სამშვიდობოზე და მიუთითა მთელ რიგ შინაურ პოლიტიკაში მოხერხებულათ წარმოებულ მუშაობის საჭიროებებზე. მუშათა ოპოზიციას მშვენივრად ესმის ამ პოლიტიკის სიმძიმენი, მაგრამ ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ იმის აქ მოტანა, რომ ჩვენ უცოდინრად გავანაწილეთ ჩვენი სასურსათო რესურსები, ეს უბრალო აღნიშვნა, ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. იქნებ, თქვენ, ვლადიმერ ილიასძე, დასასრულ ინებოთ და გაგვიშუქოთ თქვენი დებულებები.

ამხ. კრესტინსკი ხშირად სწერდა ჩვენი პარტიის პროლეტარულ შემადგენლობის შესახებ და როგორც მაგალითისთვის მოჰყავდა ჩვენი საგუბერნიო კომიტეტები. მე აქ ეჭვი მებადება, მთელი რიგი ადგილებიდან მოსულ ცნობებისა გვიჩვენებს სრულიად წინააღდეგს; გვიჩვენებს, რომ ჩვენი აპარატი ძირიანად იცვლება და ჩვენს პარტიას აწყდება სრულებით უცხო ჩვენთვის ელემენტები. ეს გარემოება კი, რამაც თუ წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიის გაძლიერებით [illegible], არამედ იმითაც, რომ ეს წვრილი ბურჟუები [illegible] მუდამ მოაწყობს ჩვენს პარტიის შიგნით, ამის საკმაო ცნობა კი ხელთა გვაქვს. აი ამ მხარეს უნდა მიექცეს უაღრესი ყურადღება და არა მუშათა

დღეს ნომერში:

საქართველოს რევკომის ცირკულიარი ადგ. რევკომებს, განუმარტონ ხალხს, რომ წინააღმდეგ პროვოკატორებს მიერ გავრცელებულ ხმებისა, მევენახეობას არავითარი საფრთხე არ მოელის ახალი ხელისუფლების მხრით; პირიქით, იგი ხელს შეუწყობს მეურნეობის ამ დარგის აყვავებას.

შ. ს. ს. კომისარიატის განცხადება, რომ კონტრ რევოლიუციონურ გამოხვლებში შენიშნულ ჯგუფების და პირების წინააღმდეგ სასტიკი ზომები იქნება მიღებული.

საგანგებო კომისიის ბრძანება და გაფრთხილება ვაჭრებს, გასაყიდად გამოიტანონ გადამალული საქონელი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მოელით დახვრეტა და ქონების ჩამორთმევა.

რუსეთის საგარეო ვაჭრობის საქმე წარმატებით მიმდინარეობს.

ინდოეთში იზრდება რევოლიუციონური მოძრაობა, ეწყობა წითელი პროფკავშირები; ხდება საყოველთაო გაფიცვები.

სტუდენტების მოძრაობა იტალიაში.

ოპოზიციის დატუქსვას. უნდა მივიზიდოთ მუშები და მხოლოდ მუშები კი არა, არამედ ისინი, რომელნიც ამ ჟამად [illegible] არიან შეკავშირებულნი ჩვენ [illegible] და ქარხნებთან ერთად. ჩვენს ცენტრალურ კომიტეტმა კი, იცოდა რა რომ საქმე ცუდათ იყო, ვერ შესძლო არამც თუ მიეზიდა ახალი ამხანაგები, არამედ დაეკავებინა ისინი, რომელნიც ათი ათას მუშათა ცდით, ჩვენ თვალგადუწვდენელ ქვეყნის ყველა კუთხეში, იყვნენ ჩარეულნი ჩვენს პარტიაში. ან რა ზომები მიიღო ცენტრალურ კომიტეტმა, ამ მოვლენათა მოსასპობად? არავითარი ზომები არ იყო მიღებული. ცენტრალური კომიტეტი ამ მოვლენას როგორღაც მხარს უქცევდა და გაიძახოდა მხოლოდ, რომ ჩვენ ვიზრდებით, ვიზრდებითო. მაგრამ არ შეიძლება გვითხრან. ვის ხარჯზე? ამაზე ცენტრალური კომიტეტი გვიპასუხებს: ჩვენ გვყავს მუშები, გლეხები, მოსამსახურენი. მართლადაც, თუ ჩვენ საანკეტო ფურცლების მიხედვით ვიმსჯელებთ ეს ასეა, მაგრამ თუ თქვენ დაწვრილებით გამოჰქექავთ, დაინახავთ, რომ ამ გლეხთა და მოსამსახურეთა შორის პროცენტი ისე კარგად არ არის ნავარაუდევი როგორც გვეჩვენება.

საჭიროა აგრეთვე ყურადღება მივაქციოთ პარტიულ დარგში ერთ პიროვნულ რეჟიმს. ამ დარგში კი ცენტრალური კომიტეტი სულ მუდამ აწარმოებს ბრძოლას ადგილობრივ ორგანიზაციებთან დანიშვნებისა და რწმუნებულების საშუალებით. ჩვენ ამას არას დროს ჩავდივართ, ჩვენ ვეხმარებით ადგილობრივ ორგანიზაციებს, ვასწავლიდით მათ, ისე საკითხის დასმაკი, როგორც დღეს აყენებენ—დანიშვნებისა და რწმუნებულების ხელით ნარის გლეჯა არ შეიძლება. ამის შესახებ თქვენ შეგიძლიათ ჰკითხოთ მათ, ვისაც ნარს აგლეჯინებთ. ეს გარემოება ჰბადებს კიდევ იმას, რომ ნამდვილად როგორც პარტიის სათავეში, ისე საბჭოთა აპარატებში, ვხედავთ მეტად მცირე რიცხოვან და სუსტ ხალხს, რომელიც ერთი ადგილიდან მეორეში გადაჰყავთ, ერთი სავარძლიდან მეორეში და სრულიად არ გამოჰყავთ დაბალ წრეებიდან. ამხანაგ სტეფანოვმა განაცხადა, რომ ჩვენ ძლიერ ვაცლით კაცებს ადგილებს. ეს სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ჩვენ ვაცლით ამ ადგილებს კაცებს იმიტომ, რომ მათ უკან შევქმნათ კანცელიარიის მოხელენი და [illegible]. აი, ვლადიმერ ილიას ძევ [illegible], რომელიც უნდა განვკურნოთ. როდესაც ჩვენ გვიბრძანებენ—ჩვენ ვუპასუხებთ: ხელები ძირს, გემორჩილებით... ჩვენ ვცნობთ და საჭიროდ მიგვაჩნია ეს ფორმულა ერთიანობისა, ფორმულა დისციპლინისა, მაგრამ ჩვენ გვსურს, რომ ჩვენში არსებობდეს ის იდეური და ორგანიული კავშირი, რომელიც სუფევდა წინედ ჩვენს პარტიაში. ამას ფარული რომანტიზმი კი არ გვალაპარაკებს, არამედ პრაქტიკული პროლეტარული უნარი... და ამიტომ რუსეთში მონავარდე სტიქიას ხელი კი არ უნდა აუქნიოთ, არამედ შევისწავლოთ იგი.

ოსინსკის სიტყვა.

ოსინსკი ამბობს, რომ ჩვენ ნამდვილად დიდ კრიზისს განვიცდით და ჩვენ უნდა სერიოზულად შევეხოთ ამ საკითხს და გამოვარკვიოთ, თუ როგორ დავაღწიოთ ამ კრიზისს. ეს [illegible] უმთავრესად [illegible] გამოიხატება პირველად მუშათა და გლეხთა მასსების [illegible] ბლობაში, მეორე იმაში, რომ ჩვენმა პარტიამ დაჰკარგა პარტიებთან კავშირი

ზოგიერთა ძლიერ წვრილი, დანაწილებული პარტიები. სინდიკალიზმა პრაქტიკულად გამოიხატება მასსების დაუმორჩილებლობაში ცენტრისადმი და სხვ. მაშ რა გზა დაგვრჩენია ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად? ზოგიერთები უკვე ისახავენ ხსნის გზას და ასე დაიწყეს ლაპარაკი, მეტადრე ზოგიერთმა მოსკოველ ამხანაგმა: აი ჩვენ ხელ ახლა გავდემოკრატდით, უნდა დავიხიოთ უკან, ბიუროკრატ ზმის ცენტრალიზაციასთან შესაერთებლად. მოსპეთ დისკუსია, დროა დავბრუნდეთ უკან ძველ მდგომარეობისაკენ. აი ერთი დაყენება საკითხისა, რომელიც ბოროტი სიცილით სწარმოებს. მეორე დაყენება საკითხისა, რომელიც ისევ ბოროტი სიცილითაა გამოწვეული, ეს ისაა რომელსაც ამხ. შლიაპნიკოვი გვაძლევდა. მაშ როგორ უნდა მიუდგეთ საქმეს? ისე უნდა შეუდგეთ საქმეს, რომ შევქმნათ შეხმატკბილებული შეერთებული მთლიანობა პარტიაში, მხოლოდ არა გზით და არა შემთხვევაში დემოკრატიზმი არ უნდა შეილახოს. თუ ჩვენ ეხლა დემოკრატიზმზე ხელს ავიღებთ, სიტყვით კი არა საქმით, ფრაზების ნილაბ ქვეშ, ჩვენ მაშინ, ამხანაგები დავმარცხდებით. ჩვენ აქ უნდა ვილაპარაკოთ შეხმატკბილებულ, ნამდვილ შეკავშირებაზე და ამ მხრივ ჩვენმა ყრილობამ უნდა გააკეთოს თავისი საქმე. თუ თქვენ გსურთ ამხანაგობა, მეგობრული ერთიანობა, მაშინ არ უნდა დაუშვათ კომბინაციები, აქ კი ცხადია კომბინაციები მუშათა ოპოზიციის მიმართ.

პრეზიდიუმში შევიდა ორი კაცი ოპოზიციიდან. ეს ერთნაირი შეკითხვაა, რას იტყვი შენ, მუშათა ოპოზიციავ დაიჭერ თუ არა გამოცდას?

თუ დაიჭერ გამოცდას, მაშინ შენთან განვაგრძობთ კომბინაციას და თუ ვერ დაიჭერ, მაშინ ჩვენ შორის კავშირი ირღვევა და დაგიწყებთ დევნას. განა შესაძლებელია, საქმის ასე კეთება? არა ეს არ არის სწორი. უნდა უთხრათ: თქვენ, მუშათა ოპოზიციავ, წარმოადგინეთ ყველა თქვენი საქმიანი განცხადებანი, რა შეგიძლიათ უთხრათ პარტიას კრიზისიდან თავის დაღწევის საკითხის შესახებ? ჩვენ ვიმყოფებით უდიდეს რღვევაში, უდიდეს განსაცდელში და ყველაფერ იმას, რასაც თქვენ იტყვით პატიოსანს, შესაძლებელს და შესასრულებელს, ყველაფერ ამას ჩვენ მივიღებთ და ყველა თქვენგანს გეძახით გამოგვყევით ჩვენ ერთი გზით, თუ თითონ თქვენ მოისურვებთ სიარულს ჩვენთან ერთად, წინ, კომუნისტებო, ყველა აღმაყველა ადგილებზე, საომარ ყიჟინის ატეხის დროს. აი როგორ უნდა მივახლოვებულიყავით საკითხს და არა ყველა იმ კომბინაციებით. ჩვენ უნდა წავმართოთ ჩვენი პარტია, შეხმატკბილებულ კავშირის გზით. ეს კი არ იყო შესრულებული. შეიძლება ამას მივაღწიოთ ამ ყრილობის განმავლობაში.

მე დასასრულ ვიტყვი, როგორ უნდა მივუახლოვდეთ საქმეს, მყვირალა მუშათა ოპოზიცია ებღაუჭება უწესოებას ქარხნებში, რომელსაც ადგილი აქვს ეხლა. იგი ლანძღავს ყველას, პანამებს აჩენს, ერთი სიტყვით, სამინისტროს დამამხობებლად გამოაქვს თავი. პარტიული ოპოზიცია უნდა ზრუნავდეს მაზე, რომ პარტია იყოს სუფთა და მიდიოდეს წინ წარმატებისაკენ. ამ შემთხვევაში როგორ მოიქცევა იგი? იგი უპასუხებს პატიოსნურად, ბოროტ [illegible] დაუშვებლად, რაც იყო ცუდი [illegible] კომიტეტის მოქმედებაში, იგი შეიტანს თვის საქმიან წინადადებებს, რომელსაც პარტია მიიღებს მთავარში. არავითარი [illegible] არ არის.

საბჭოთა რუსეთში.

პროფესიონალურ მოქმედების კვირა.

მოსკოვი. 31 მარტი. (რადიო) კოზლოვში პროფესიონალურ მოქმედების კვირა დაიწყო რკინის გზელთა საზეიმო სხდომით, შეიკრიბა 3 ათას მუშამდე დიდის ნაყოფიერებით მიმდინარეობს პროფესიონალურ მოქმედების კვირა კირსანოვში და უბანში.

მინსკი. 21 მარტი. დამთავრდა ბუნდის საგანგებო კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ წარმომადგენელნი პოლონეთიდან, ლიტვიდან და ლატვიდან. კონფერენციამ ხმის უმრავლესობით დაადგინა შეუერთდეს რუსეთის კომუნისტურ პარტიას.

კომუნისტური შაბათობანი.

მოსკოვი. 22 მარტი. კომუნისტურ შაბათობების მუშაობაში თებერვალში მონაწილეობა მიიღო 97,866 სულმა, მათ რიცხვში პარტიული ამხანაგებია 25,498, ხოლო უპარტიო 72,368.

მუშაობის შედეგი: დატვირთვა 533 ვაგონი, გადმოტვირთვა 1,577 ვაგონი, შეკეთდა 93 ორთქლმავალი და 107 ვაგონი. ამას გარდა გადაზიდულ იქმნა ტვირთის დიდი რაოდენობა—საშპალო ფიცრები, დაიხერხა, დაიპო და დაწყობილ იქმნა 6 ათასი საჟენი შეშა. თოვლისაგან გაწმენდილ იქმნა 33 ათასი კვადრატიული გზა და სხვა.

საზღვარ-გარეთ

სილეზიაში საერთო ხმის მიცემის შედეგები.

მოსკოვი. 28 მარტი. (რადიო) ოფიციალურ ცნობებით გერმანიას მისცეს დაახლოვებით ერთი მილიონი ხმა, პოლონეთს 389,000 ხმა.

ინგლისის პრესა საბჭოთა ხელისუფლების შესახებ.

ლონდონი. 27 მარტი. ინგლისის პრესა იტყობინება, რომ ყველა ცნობები რუსეთში კონტრ-რევოლიუციის შესახებ, რომელთაც ავრცელებენ საბჭოთა ხელისუფლების მტრები, ტყუილია. გაზეთი „დეილი ნიუსი“ სწერს: რუსეთში კონტრ-რევოლიუცია შეუძლებელია, რადგანაც ლენინის და ტროცკის მთავრობის მაგიერობას ვერავინ გასწევს, ვინაიდან მხოლოდ ამ ორ ადამიანს შეუძლია დღეს მართოს რუსეთი.

ძალადობა რუსის ტყვეებზე ბულგარეთში

მოსკოვი. 21 აპრილი. (რადიო) ბულგარეთიდან ჩამოსული რუსის ტყვეები გადმოგვცემენ ბულგარეთის ხელისუფალთა მიერ რუსის ტყვეებისადმი უუარებელ მხეცურ მოქცევის შესახებ. რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობა კატეგორიულ პროტესტს აცხადებს ასეთი გაუგონარი სიმკაცრისა და ძალადობის წინააღმდეგ და მოითხოვს ასეთი ზომების დაუყოვნებლივ შეწყვეტას და ბულგარეთში კიდევ დარჩენილ რუსების საჩქაროთ სამშობლოში დაბრუნებას. იმ შემთხვევაში თუ ეს კანონიერი და სამართლიანი მოთხოვნილებანი არ იქნება დაკმაყოფილებული, საბჭოთა მთავრობა თავის მოქალაქეთა სიცოცხლის და მათი ძალადობისა და გინებისაგან გადარჩენის მიზნით იძულებული იქნება მიმართოს რეპრესიულ ზომებს ბულგარეთის იმ ქვეშევრდომთა მიმართ, რომლებიც იმყოფებიან საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე.

რუმინიის განცხადება.

მოსკოვი. 30 მარტი. (რადიო) რუმინიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტეკე იონესკუმ ნოტით მიმართა ჩიჩერინს, რომელშიაც აღნიშნავს, რომ რუმინიაში არ ყოფილა და არც არის არავითარი რუსული პოლიტიკური ორგანიზაცია. უკრაინის ჯარები განიარაღებულია. რუმინიის ჯარებს დაევზავნა მკაცრი ბრძანება იქონიონ საზღვარი სრულებით დახურულათ.

სჩივიან.

მოსკოვი. 30 მარტი (რადიო). საგარეო საქმეთა სახალხო კომისრისაგან ბრიტანეთის ვაჭრობის მინისტრმა რუსეთის სავაჭრო შეთანხმებაზე ხელის მოწერის დროს გადასცა კრასინს წერილი, რომლითაც მიაქცევს საბჭოთა მთავრობის ყურადღებას იმ ფაქტებისადმი, რომელსაც იწვევს ამ მთავრობის მოღვაწეობა ინდოეთსა და ავღანისტანში. ეს ფაქტები, ინგლისის მთავრობის აზრით, არ ეთანხმება ხელშეკრულების პირობებს და დაუყოვნებლივ უნდა იყოს მოსპობილი.

უზრუნველი ინვალიდები.

მილანი. 25 მარტი. რომის გაზეთი „რომა“ გადმოგვცემს აღმაშფოთებელ შემთხვევას, როდესაც ინვალიდები უკანასკნელ ომის მონაწილენი, იძულებული იყვნენ ეთხოვათ ლუკმა პური მათთვის, ვისაც ისინი იცავდნენ. ინვალიდთა ჯგუფი, 300 კაცისაგან შემდგარი, შეიკრიბა თამბაქოს ბიუროს შენობის წინ რომში და მოითხოვდა სამუშევარს. ბიუროს დირექცია დაკმაყოფილდა მით, რომ ჩასწერა ყველა დემონსტრანტები და დაჰპირდა მათ სამუშევარს.

რევოლიუციონური მოძრაობა ინდოეთში.

ლონდონი. 1 აპრილი. გაზეთი „ტაიმს“-ი ბეჭდავს ინდოეთის რევოლიუციონურ მოძრაობის ბელადის განდის განცხადებას, რომლის შინაარსიც იმაში მდგომარეობს, რომ ინდოეთში ბურჟუაზიულ-რევოლიუციონურ-ეროვნულ მოძრაობის ქვეშ მწიფდება წითელი რევოლიუციონური მოძრაობა. ინდოეთში სწრაფად დგებიან ფეხზე მუშათა მასსები, ეწყობა რევოლიუციონური პროფკავშირები და ყველგან გაფიცვები ხდება. ინდოეთის კომუნისტებმა მთელი ძალღონით მხარი უნდა დაუჭირონ ინდოელ რევოლიუციონერების მარცხენა ფრთას

სტუდენტთა მოძრაობა იტალიაში.

მილანი. 26 მარტი. სტუდენტების გაფიცვა იტალიაში მოედვა ყველა უნივერსიტეტის ქალაქებს. მოძრაობა გამოწვეულია სახელმძღვანელოების სიძვირით. გაფიცვის დროს ზოგიერთ ქალაქებში სტუდენტებსა და ჯარის ნაწილებს შორის მოხდა შეტაკება; სტუდენტები ამტვრევდნენ საგამომცემლო ბიუროებს. განსაკუთრებით მკაცრად გაფიცვამ ჩაიარა ნეაპოლში, სადაც სტუდენტების წინააღმდეგ ხელისუფლების მიერ გამოწვეული იყო ცხენოსანი ჯარი. ბოლოს მაინც სტუდენტებმა გაიმარჯვეს.

ახალი ავანტიურა.

ქრისტიანია. 21 მარტი. ვენიდან იუწყებიან, რომ გამოაშკარავდა საერთაშორისო პოლიტიკის ახალი მახინაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს საფრანგეთი ანტიბოლშევიკურ ბლოკის შესადგენათ.

ვაჭრობა რუსეთთან.

ლონდონი. 29 მარტი. ინგლისში ზღვის პირის ქალაქების მეთევზეებმა მოსთხოვეს მთავრობას, რათა დაუყოვნებლივ ნება მისცენ გაიტანონ რუსეთში 300,000 სელდი. მეთევზეების კომიტეტი დაბეჯითებით მოითხოვს, რომ ჩქარა იქნას აღდგენილი რუსეთთან წესიერი სავაჭრო და სამგზავრო ურთიერთობა.

სიყალბე.

ლონდონი. 29 მარტი. თემთა პალატაში საამირბაროს პირველმა ლორდმა განაცხადა, რომ ათასი ეგზემპლიარი „ყალბი პრავდა“-სი ლონდონის პოლიციის დირექტორის მოთხოვნილებით გაგზავნილ იქმნა ბალტიის ახლო ქვეყნებში ბრიტანეთის საამირბაროს ჩემოდანებით.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

საქ. სოც. საბ. რესპ. სამაზრო რევკომებს.

საქ. სოც. საბ. რესპ. რევოლიუციონურ კომიტეტს მოსდის ცნობები, რომ სხვა და სხვა კონტრ რევოლიუციონური ელემენტები ცდილობენ დაფუშონ სახალხო მეურნეობა და გამოიწვიონ არეულობა. ავრცელებენ რა მევენახეობის რაიონებში ხმებს, ვითომ ახალი საბ-

როს ვენახები. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი გაცნობებთ თქვენ, აცნობეთ თემების საშუალებით იმ რაიონების მცხოვრებთ, რომელნიც მევენახეობას მისდევენ, რომ საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი ისწრაფის [illegible] რა ლოთობის, ღვინის სპეკულიაციისა და ჩარჩობის აღმოფხვრას, არამც თუ არ ფიქრობს მოსპოს მევენახეობა,

არამედ დაეხმარება [illegible] და მევენახეებს [illegible] საჭირო მასალის წამლისა და [illegible]ბის მიწოდებით, აგრეთვე ღვინისა [illegible] ყურძნის სხვა ნაწარმოების გა[illegible] ორგანიზაციით საქართველოში საზღვარ-გარეთ კოოპერატივების [illegible]ბით.

ამის გამო მევენახეებს სრული სი[illegible]დით და იმედით შეუძლიათ განაგრძონ დამუშავება თავიანთ ვენახებისა და ყური არ უგდონ ბოროტ გამზრახველებს, რომელნიც ვერ გაუქცევიან რევოლიუციონურ მთავრობას და მიიღებენ შესაფერ სასჯელს.

საქართველოს რევოლიუციონურ კომიტ. თავმჯდომარე და მიწათ-მოქმედების კომისარი ფ. მახარაძე.

კომ. საქმეთა მმართველი ბერიძე.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის დადგენილება.

უცხოეთის ქვეშევრდომთა რეგისტრაციის შესახებ მიღებულ დადგენილების დასამატებლად ვაცხადებ, რომ უცხოეთის კონსულები, დიპლომატიური წარმომადგენელნი და მათი მოსამსახურენი განთავისუფლებულნი არიან სარეგისტრაციო გამოცხადებისაგან. აქ აღნიშნულ პირთა სიები ყველა საჭირო ცნობებით უნდა გაიგზავნონ სათანადო საკონსულოებისა და დიპლომატიურ მისიების მიერ ქალაქის რევკომში რეგისტრაციისთვის. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ვ. კვირკელია.** საქმეთა მმართველი **ვ. ხახანაშვილი.**

ბრძანება საქართველოს რკინის გზებზე.

საქართველოსა და კახეთის რკინის გზების უფროსებს.

კახეთის რკინის გზის საქართველოს რკინის გზებთან შეერთების გამო ამ წლის 11 მარტიდან ქვემორე მოხსენებული უფროსი აგენტები კახეთის რკინის გზისა დანიშნულნი არიან: 1) გზის უფროსი ვ. თ. გვერდწითელი—განსაკუთრებულ მინდობილებათა ინჟინერათ გზების უფროსთან, 2) წევის სამსახურის უფროსი ნ. ა. მაისურაძე—ორთქლმავლების უფროსათ, 3) მთავარი ბუხჰალტერი ვ. ფ. ჟორდანია—მთავარ ბუხჰალტრის მეორე თანაშემწეთ, 4) შემოსავალთა კონტროლის განყოფილების გამგე დ. ჯუღელი—სადგურების ანგარიშების რევიზორათ კახეთის ყოფილ რკინის გზის ნაწილზე, 5) უფროსი ექიმი ვ. დ. ლამბაშიძე—სასანიტარო განყოფილების გამგეთ,—6) ტელეგრაფის გამგე გ. ი. ჭყუსელი—ელექტროტეხნიკურ სამსახურის უფროსათ კახეთის ყოფილ რკინის გზაზე და 7) მთავარ საწყობის გამგეთ ს. ნ. ხორბალაძე—მასალათა დამზადების საქმეების აგენტათ ყველანი ჩაითვალონ დროებით იმ ჯამაგირით, რომელიც დაწესებულია საქართველოს რკინის გზებზე. რკინის გზების უფროსი და კომისარი ინჟინერი კაციტაძე.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ქიმიურ განყოფილების ბრძანება.

1 აპრილი 1921 წ. № 2. წინადადება ეძლევათ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფ ყველა პურის მცხობელთ, მეფურნეებს და მეთორნეებს, საქალაქო, სამხედრო და რკინის გზის პურის საცხობების გამოუკლებლივ, საკონდიტროებს, ფაბრიკებს, რომელნიც ამზადებენ მასაზრდოებელ ნივთიერებას, როგორც საბავშვო ფქვილს, სანატოგენს და სხვას. ფაბრიკებს, რომლებიც ამზადებენ შაქრიან, საკრახმალო, სახაშო და საფქვილამუშო და სხვა პროდუქტებს, მერძეობის ფერმებს, კარაქის ქარხნებს, ყველის ქარხნებს, ფაბრიკებს, რომელნიც ამზადებენ რძისა, კვერცხისა და სხვა კონსერვებს, ძეხვის ქარხნებს, იმ ქარხნებს, რომელნიც ამზადებენ ხორცეულის, თევზეულის, ბოსტნეულის და ხილეულის კონსერვებს, ლუდისა, კვასისა, ლიმონათისა, ხელოვნურ მინერალურ წყლების ქარხნებს, ძმრის და მარილის ქარხნებს, ფაბრიკებს, რომელნიც ამზადებენ ჩაის, დაფნის ფოთოლს და სხვას, ლაბორატორიებს, რომლებიც ამზადებენ ფარმაცევტურ, ჰიგიენურ, ორტოპედიულ და სხვა საგნებს, ლაბორატორიებს, რომელნიც ახშობენ სამკურნალო ბალახებს, ეფირის ზეთს (ევკალიპტუსისა, პიტნისა და სხვა) და საერთოთ ყველა ფაბრიკებს და ქარხნებს, რომლებიც ამზადებენ საკვებ, სასმელ [illegible]

ნეობის უმაღლეს საბჭოს ქიმიურ ოფილების საკვებ-ფარმაცევტიულ ანყოფილებაში, რომელიც მოთავ- ულია სომხის ბაზარზე. № 6 (ყო- ქალაქთა კავშირის ბინა), დილის აათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. დაწესებულებანი, რომელნიც იმყო- იან ქალ. თბილისში, მოვალენი არიან წერონ სამი დღის განმავლობაში, ლო დანარჩენნი—ორი კვირის გან- ლობაში ამ ბრძანების გამოცხადების იდან. ის პირნი, რომელნიც არ შეა- ულებენ ამ ბრძანებას, დასჯილ იქნე- ან რევოლიუციონურ დროის სრულის სისასტიკით. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ქიმიურ განყოფილების გამგე ინჟენერ-ტეხნოლოგი **ა. ქართველიშვილი.**

დებულება მუშათა მაგიდის საბარათო სისტემის ორგანიზაციისა ს. ს. რ. საქართველოში.

ქვე-განყოფილება მუშათა მაგიდის ცენტრალურ საბარათო სისტემისა სასურსათო სახალხო კომისარიატთან.

1. სურსათის თანასწორად განაწილებისათვის საბარათო სისტემით და რესპუბლიკის მუშათა მაგიდების მოქმედების განწესრიგებისთვის არსდება ქვე-განყოფილება საბარათო სისტემის და მუშათა მაგიდისა, რომლის მოვალეობას შეადგენს: ა) შემუშავება რესპუბლიკის საბარათო სისტემისა, ბ) ინსტრუქციების მიცემა ადგილობრივ ქალაქის სასურსათო კომიტეტებს და მაზრის სასურსათო კომიტეტებს საბარათო სისტემის და საბინაო ორგანიზაციების დარგში, გ) ხელმძღვანელობა მუშათა მაგიდების მოქმედებისა ფას-დადებულ სურსათის განაწილებაში საბჭოთა დაწესებულებების მუშათა და მოსამსახურეთა შორის და დ) კონტროლი ტერიტორიალურ სასურსათო კომიტეტების მოქმედებისა ფას-დადებულ სურსათის განაწილების საქმეში.

2. ცენტრალურ საბარათო სისტემის და მუშათა მაგიდის ქვეგანყოფილებას აქვს სამი მაგიდა: ა) მაგიდა ბარათების მომზადებისა და აღწერისა, რომლებიც ურიგდება სხვა და სხვა სასურსათო ორგანოებს. ამ მაგიდის მოვალეობაა დაამზადოს ბარათები და საჭირო ბლანკები სასურსათო განაპირა ორგანოებისათვის. ბ) მაგიდა საბინაო ორგანიზაციისა და მათი მოხმარების აღრიცხვისა.

შენიშვნა: ამ მაგიდის მოვალეობაა: 1) გამოიკვლიოს ადგილობრივ სასურსათო ორგანოების შემწეობით მჭამელთა რიცხვი ყველა ქალაქებში და 2) შეადგინოს ყოველივე ცნობები რესპუბლიკის მუშათა მაგიდების მოთხოვნილებათა შესახებ.

3. ქვეგანყოფილებები ყოველთვე უგზავნიან სასურსათო სახალხო კომიტეტის კოლეგიის წევრს, განაწილების განყოფილების გამგეს ვრცელ ანგარიშს: ა) განაწილებულ საქონლის გასავალს, როგორც საბინაო კომიტეტების, აგრეთვე მუშათა მაგიდების შემწეობით ცალკე თითეულ ქალაქისთვის, და ბ) ცნობებს მცხოვრებთა მოთხოვნილების შესახებ.

4. ქვეგანყოფილებაში არის შემდეგი შტატი: გამგე ქვეგანყოფილებისა 1, მისი მოადგილე 1, სტამბის კონტროლიორი 1, კონტორის მოხელე საალრიცხვო მაგიდებისთვის 3, შიკრიკი 1,—სულ 7 კაცი.

ბრძანება ს. ს. ს. რ. სახალხო სამხედრო-საზღვაო კომისარიატისადმი.

№ 26. ინიშნება: გამოგზავნილი საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის მიერ ამხ. ჯანგვალაძე უმთავრეს სამხედრო-საზღვაო მართველობის ნივთების საწყობის სამხედრო კომისრათ. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე **კვანტალიანი.** შტაბის უფროსი გენერალურ შტაბისა **გაბაშვილი.**

ცენტრალურ სასტატისტიკო კომიტეტში

სოვნარკომის განსახილველად წარდგენილია დეკრეტის პროექტი ცენტრალ სასტატისტიკო სამმართველოს დაარსების შესახებ ნაცვლად არსებულ ცენტრალ სასტატისტიკო კომიტეტისა.

თანახმად პროექტისა ცსუ თავისი შინაგანი ორგანიზაციით და ურთიერთობით უთანასწორდება კომისარიატს; მას სათავეში უდგას მმართველი, რომელსაც ირჩევს საქართველოს რევკომი. ცსუს მოქმედების ძირითად პრინციპს შეადგენს ერთიანი სახელმწიფო სტატისტიკის შექმნა რესპუბლიკაში. ამით ბოლო ეღება იმ ქაოსს, რომელიც დღემდი სუფევს სტატისტიკურ მუშაობაში საქართველოში.

— —

მუშავდება „ს. ს. ს. რ. სახელმწიფო სტატისტიკის დებულებანი“. უკანასკნელმა უნდა განსაზღვროს მკაფიოდ, როგორც ცენტრალ, ისე ადგილობრივ სასტატისტიკო ორგანიზაციათა კომპეტენცია და დაამყაროს მათ შორის ცოცხალი კავშირი საქმიანობის ნიადაგზე.

— —

არსებულ სტატისტიკურ ძალთა სრულ და რაციონალურად გამოსაყენებლად ც. ს. კ. დაადგინა აღრიცხოს ყველა მომუშავენი, უმუშევარნი სტატისტიკოსნი და აგრეთვე ის პირნი, რომელთაც აქვთ სურვილი იმუშაონ ამ დარგში. უკვე სწარმოებს რეგისტრაცია ქ. თბილისში მყოფ სტატისტიკოსთა მიუხედავად მათი თანამდებობისა. მიმოსვლის აღდგენის შემდეგ აღრიცხული იქნებიან პროვინციელი მუშაკნიც.

სტატისტიკურ ძალთა სიმცირის გამო განზრახულია მოკლე ხანში გაიხსნას მოკლე ვადიანი კურსები. უკვე მუშავდება სათანადო გეგმა და პროგრამა.

ბათომში

ამხ. ქავთარაძის დეპეშა.

ამხ. ქავთარაძემ ბათომიდან დეპეშით აცნობა საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევკომს: ხვალ ფოთით ვგზავნი სახელმწიფო ბანკს. გთხოვთ გამოგზავნოთ სპეციალური მატარებელი პარტიების, ფრაქციების და დამფუძნებელ კრების წევრთა წასაყვანად. მათ გადასწყვიტეს შეიკრიბნენ თბილისში, რათა ერთხმად მიღებულ რეზოლიუციით დაგმონ წინანდელი მთავრობა. მე პრინციპიალურად მოვიწონე მათი გადაწყვეტილება. მასსები მშვენიერ გუნებაზე არიან. ხელისუფლების ავტორიტეტი მეტად მაღლა დგას. ინტელიგენცია ბეჯითად თხოულობს სამუშაოს. აუცილებლათ ყველა ღონისძიება უნდა მივიღოთ ბათომის მოსახლეობის შესამცირებლათ. უცხოეთის კომერციულ წრეების ნდობა იზრდება. იტალიელი გემი „გეორგი“ წავიდა ტვირთით. კიდევ ველით გემების მოსვლას. მე ორი კომისია დავნიშნე აჭარისა და ქობულეთის ხალხისათვის ჯარისაგან მიყენებულ რალის გამოსარკვევათ. მინიმალური ილი ანაზღაურებული იქმნება მანუფაქტურით.

[illegible] დანიშნულების კომუნისტური რაზმი.

მდივან 2 აპრ. (საკ. კორესპ.). შეს- [illegible] აპრილ[illegible] დანიშნულების კომუნის- [illegible] სი—სა[illegible] ტური რაზმი. რაზმში შესულ კომუნისტებისათვის დაწესებულია საალმშენებლო მუშაობა, კვირაში ორი დღე.

საბჭოთა თეატრები ბათომში.

ბათომი. 2 აპრ. (საკ. კორ.). ბათომში ორი საბჭოთა თეატრი მოქმედებს. დღეს მესამე თეატრი იხსნება.

ბათომის მუშების დეპეშა.

ბათომის მუშების მიტინგმა საქართველოს სახალხო კომისარიატის სახელზე გამოგზავნა შემდეგი დეპეშა: „ჩვენ ბათომის მუშები, განთავისუფლებული გამყიდველ მენშევიკების მთავრობის ჩაგვრისა და უცხოელ სპეკულიანტებისაგან, შეკრებილნი პირველ პროლეტარულ მიტინგზე, მივესალმებით საბჭოთა ახალ მთავრობას და აღუთქვამთ მეგობრულ დახმარებას ყოველ საქმეში. გაუმარჯოს განთავისუფლებულ პროლეტარიატს, გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის მეთაურებს. თავმჯდომარე სპერანსკი.

უცხოელებთან ვაჭრობა.

ბათომი, 2 აპრ. (საკ. კორესპ.) უკანასკნელ დღეებში მოხდა მნიშვნელოვანი მოლაპარაკებანი უცხოელ ფირმების წარმომადგენლებსა და საგარეო ვაჭრობის განყოფილების პასუხისმგებელ თანამშრომლებს შორის, რომელიც ორთავე მხარის შეთანხმებით დასრულდა.

ბათომის კომუნისტებ[illegible].

ბათომი, 2 აპრ. (საკ. კორესპ.). მენ-

შევიკებმა ბათომთან თავის გაქცევის უმალ, გემ „ნახიმოვ“-ზე დასხეს ბათომის კომუნისტების ერთი ჯგუფი და გაისტუმრეს ზღვაში. „ნახიმოვის“ ბედი საშინელ მღელვარებას იწვევდა. დღეს მიღებულია სარწმუნო ცნობები, რომ „ნახიმოვი“ ნოვოროსიისკშია.

მენშევიკების პარტიაში

II.

პირველ წერილში მკითხველებს გავაცნეთ ის თუ ვინ შედიოდა მენშევიკების პარტიაში და ვინ მოელოდა მათგან ხსნას. ამ წერილში კი გვსურს გავაცნოთ მკითხველებს თუ როგორი უფსკრული ყოფილა გათხრილი მენშევიკ მუშებსა და მათ ლიდერებს შორის.

განცხადება, რომელსაც ეხლა სრულად მისი მართლწერით მოვიყვანთ აქ, ნათლათ ამტკიცებს იმას, რომ მენშევიკ ლიდერებს მენშევიკი მუშები თანდათან ცილდებოდენ და საქმე თითქმის რასკოლამდინაც კი მისულა.

აი განცხადებაც:

„ერთობის უბნის მცირე კოლექტივი ს. ს-დ. მ. პ. მე-2 რაიონისა 1921 წ. 26 იანვარს ქ. თბილისი. ს. ს.-დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლექტივს. განცხადება. თანახმათ მე-2 რაიონის მცირე კოლექტივის (ერთობის უბნის) სხდომის 26 იანვრის თარიღით დადგენილებისა (ოქმი № 6) ამით გიცხადებთ, რომ მომავალ ქალაქის თვითმართველობის ხმოსანთა კანდიდატთა სიაში აუცილებლივ შეტანილ იქნას ერთობის უბნის მცირე კოლექტივის მიერ არჩეული ორი კანდიდატი 1) პლატონ გედევანის ძე გაჩეჩილაძე და მეორე დავით მაქსიმეს ძე ფერაძე. მცირე კოლექტივი მოითხოვს კატეგორიულათ, რომ ესენი როგორც ერთობის უბნის მცხოვრებნი და კარგათ გაცნობილნი ადგილობრივ მუშების მოთხოვნილებასთან, შეტანილ უნდა იქნას არა მარტო სიაში, არამედ ისეთ ადგილას იქმნან მოთავსებულნი, რომ აუცილებლივ გაყვანილ იქმნან ხმოსნებათ საქალაქო არჩევნების დროს გამგეობაში.

მცირე კოლექტივი ერთობის უბნისა შესდგება ამავე უბანში მცხოვრებ მუშებისაგან (11 კაცამდის) და ჩვენი ასეთი მოთხოვნა გამოიწვია იმან, რომ ამ უბანში მცხოვრები მუშები მიუხედავათ იმისა, რომ ქალაქის გამგეობაში ჩვენი პარტიის წარმომადგენლები იყვნენ და არიან დღესაც წარგზავნილი, ისინი არავითარ ყურადღებას არ აქცევენ და, ერთობის უბანში მცხოვრები მუშები მივიწყებულია მათგან სრულიად. ეს იქიდან სჩანს, რომ ეს უბანი მიუხედავათ იმისა ქალაქზეა მიწერილი, აქ არავითარი პლანზე გაყვანილი ქუჩა არ არსებობს, არ არის დანომრილი სახლები და აქ მცხოვრები მუშები ტალახში იხრჩობიან (ქუჩების მოკირწყვლას თავი გავანებოთ), ეს უბანი წმინდა დემოკრატიული უბანია და ასე ღვთის ანაბარათ მიტოვება უბნის, არის ღალატი დემოკრატიის პრინციპებისა. ქალაქის გამგეობის ეხლანდელ უმოქმედობის ჩვეულობით ამ უბანში მცხოვრები მუშები თანდათან გვცილდება ჩვენ, რაიც ჩვენს პარტიას გაკოტრებას უქადის და, რომ იქნას დაცული ქალაქის გამგეობაში ამ უბანში მცხოვრებ ღარიბ-ღატაკთა ინტერესები, ამიტომ მოვითხოვთ, რომ გამგეობაში გაყვანილ იქნან არამც თუ ამ უბანში მხოვრები მუშები, არამედ სხვა მუშათა უბნებიდანაც აგრეთვე, რაიც დიდ ნაყოფს მისცემს თფილისში მცხოვრებ დემოკრატიას. ვინც იქ. სხედან თფილ ადგილებზე, მათ დაივიწყეს მუშები (თუმცა მათი ხმებით გავიდენ) არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ დემოკრატიისათვის. კრინტსაც არ ძრავენ დემოკრატიის ინტერესების დასაცველად, რაიც ჩვენ მიგვაჩნია დაუშვებლად. ერთობის უბნის მცირე კოლექტივი მოითხოვს მეორე რაიონის კოლექტივისგან, რომ ეს კანონიერი დადგენილება სისრულეში იქნას მოყვანილი, ე. ი. ორი წარმომადგენელი ერთობის უბნისა აუცილებლივ იქნას გაყვანილი ქალაქის გამგეობაში ხმოსნებად.

თავმჯდომარე **პ. გაჩეჩილაძე.**
მდივანი (ვერ გავარჩიეთ)

განცხადებას აკრავს ბეჭედი კოლექტივისა.

არ იფიქროთ, რომ ეს ვინმე ბოლშევიკის ნაწერი იყოს, არა, ეს არის მუშათა უბნის მენშევიკურ კოლექტივისაგან დაწერილი, რაიც ნათლად ამტკიცებს იმას, რომ მენშევიკი მუშები თანდათან ცილდებოდენ თავიანთ გაბიუროკრატებულ ლიდერებს და „დემოკრატიის პრინციპების ღალატშიდაც ბრალს სდებდენ“ მათ. კომენტარიები ზედმეტია. დანარჩენი შემდეგ წერილში.

ბ. ძნელაძე.

მენშევიკების დამქაშები ამოძრავდენ

კვირას 12 საათზე და 20 წუთ. 3 აპრილს შესდგა თბ. ფიზ. ობსერვატორიის „სამეცნიერო საბჭოთა“ კრება, რომელსაც დაესწრნენ მოწვეული პირნი: პროფ. დიდებულიძე, ასტრონომები მოქ. სჩოტკინი და სუდაკოვი.

მათ ჰქონდათ დავალებული მონაწილეობა მიეღოთ 8 აპრ. ნაწ. მზის დაბნელების დაკვირვებაში, მენშევიკების დამქაშებმა, იგრძნეს რა „თავისუფლება“, წამოყვეს თავი და განაცხადეს: „სამ. საბჭოს“ კრებაზე პოლიტიკურ კომისარს არ აქვს ნება თავმჯდომარეობისა.

მე ვუპასუხე მათ, რომ:

1) თანახმად „სამ. საბჭოს“ წესდებისა, თავმჯდომარეთ უნდა იყოს მთავრობის წარმომადგენელი.

2) დღევანდელი კრება არის გაგრძელება 30 მარტ. სხდომის, რომელსაც პოლ. კომისარი თავმჯდომარეობდა.

3) დღიურ წესრიგში არის საკითხები ადმინისტრატიულ ხასიათისა.

4) მენშევიკების ბატონობის დროს „სამეცნიერო საბჭო“ არც ერთხელ არ შეკრებილა და ის აღსდგა დღიდან ს. ს. ხელისუფლების საქართველოში გამოცხადებისა. ამისათვის ვსპობ ამ კითხვაზე კამათს და გადავდივარ დღიურ წესრიგზე.

ბ.ბ. გურგენიძეს და ნაფეტვარიძეს არ მოეწონათ ეს, განაცხადეს პროტესტი და დემონსტრატიულათ დასტოვეს კრება. ცდამ, რომ არევ-დარევა გამოეწვიათ ახლათ აღორძინებულ ობსერვატორიის მუშაობაში, ჩაიარა ფუჭათ და სამეცნიერო საბჭომ ერთსულოვნურათ დაამთავრა დღიურ წესრიგის საკითხები. თუ თავის დროზე არ მიექცა შესაფერი ყურადღება ამ ვაჟბატონ-საბოტაჟნიკებს, დიდი ვნება შეუძლიათ მოუტანონ ობსერვატორიაში მეცნიერულ მუშაობას.

სხვათა შორის უნდა ვსთქვა რომ, მენშევიკების ბატონობის დროს აღნიშნულნი პირნი მე მიძახოდენ საბჭოთა რუსეთის მოყიდულ კომმუნისტს, საინტერესოა ეხლა როგორ მომნათლავენ!

ობსერვატორია, 3 აპრ.

თ. იობიძე.

„დამოუკიდებელ“ სოციალ-დემოკრატების კრება

კვირას, 3 აპრილს, თფილ. ქალ. ყოფილ თვითმართველობის დარბაზში შესდგა ეგ. წოდ. „დამოუკიდებელ“ მენშევიკთა კრება. თუმცა მათი განცხადების თანახმათ კრება უნდა ყოფილიყო მარტო „დამოუკიდებლებისა“, მაგრამ ნამდვილათ კი მონაწილეობა მიიღო ყველა „რწმენის“ მენშევიკებმა.

თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა მოქ. ხოჰოლავა, მდივნათ დ. თევზაძე. თავმჯდომარის ამხანაგათ სოლომონ თავაძე.

თავმჯდომარემ აუწყა კრებას მოწვევის მიზანი; შემდეგ შეეხო მათ და უნებურათ შექმნილ მდგომარეობას. აქ მოიგონა მან ცხრა მარტს დასაფლავებული ქართველი ჯარის-კაცები, სთქვა თუ რამდენი ამისთანა უბედურება გადახდა თავს ქართველს ერს, წარმოუდგინა კრებას შავი დღეები წარსულის, შემდეგ დრო თამარ მეფის და დავით აღმაშენებლის: საერთოდ შეეხო აქ ქართველი ერის წარსულს, შეადარა იგი აწმყოს და გამოიყვანა შემდეგი დასკვნა: [illegible] ყოველივე ამისა, რაც მოხდა და რასაც ვხედავთ დღეს, ქართველი ხალხი იპოვის ამ მდგომარეობიდანაც გამოსავალს.

შემდეგ მომენტზე აკეთებს მოხსენებას კირილე ნინიძე. იგი [illegible] ყებს თავის მოხსენებას [illegible] იხსენიებს კომუნისტებს: ხან [illegible] და [illegible] მათიანო, ხან [illegible]

—„დათვმა რომ მოგერიოს „ბაბა“ უნდა უთხრა“-ო. ისე კი პრინციპიალურათ ძალიან ზიზღს იწვევს კომუნისტების სახელის [illegible]ც კი. იგი განაგრძობს, — „კომუნისტებმა გარეკეს საყოველთაო საარჩევნო უფლების ნიადაგზე არჩეული ჩვენი პარლამენტი,—ამით გამოიჩინეს კომუნისტური სახეო.

მუშათა საბჭოებში მუშაობას და მის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას საჭიროთ სთვლის კირილე ნინიძე. შემდეგ იგი ეხება აღმოსავლეთ ხალხის მიმართ კომუნისტების პოლიტიკას და ამბობს,—„ჩვენ იმათ პოლიტიკას ვერ გავიზიარებთ, ვინაიდან ამით ჩვენ მოგველის ფიზიკურათ განადგურებაო, ე. ი. ჩვენ უნდა დავიცვათო თავიდან ბოლომდის ნეიტრალიტეტიო. ჩვენ, სადაც მოხერხებული იქნება, ვიმუშავებთ კომუნისტებთან და სადაც არა ჩვენსას ვიტყვითო, ფედერალისტებივით ლაქიობას არ დაუწყებთო. და თუ ამისთვის საჭირო [illegible]ება არც ციხეებს დავერიდებითო.

აქ შემდეგ მომხსენებელი იხსენებს პეტროგრადში და მოსკოვში პროლეტარიატის ხელში პირველათ ძალა-უფლების გადასვლას და ამბობს: „თვით ნოე ჟორდანია იმ დროს რომ ყოფილიყო იქ უეჭველათ ბოლშევიკებთან იქნებოდაო. რაც შეეხება მენშევიკების გაქცევას და იქედან გარეშე ძალის შემოყვანას, ამით საბჭოთა საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკის წინააღმდეგ აჯანყების მოწყობას—იგი სასტიკათ ჰგმობს; ასეთ აჯანყებას იგი უმიზნოთ, კონტრ-რევოლიუციონურათ სთვლის.

შემდეგ ლაპარაკობს ვლადიმერ ჯიბლაძე. იგი შექმნილი მდგომარეობის გამო წელში გატეხილივით იწყებს ლაპარაკს. მისი ლაპარაკიდან გამოსჭვივის მწარე ბოღმა, საბჭოთა რესპუბლიკის სახელის გახსენება მას საშინელ ჟრუანტელს ჰგვრის და მომხსენებლებს ურჩევს შექმნილ მდგომარეობის გამო დაივიწყონ მენშევიკებმა ერთმანეთ შორის დავა, წარსული შეურაცხყოფა, უთანხმოებები და შეუდგენ შეერთებული ძალით ნაყოფიერ დადებით მუშაობას“.

მუხრან ხოჰოლავა ამბობს კრების დასასრულს:—„მეორე ინტერნაციონალი არ არსებობს თავის-თავათ, მაგრამ **მესამე კი მიუღებელია** მათთვის და მოუწოდებს კრებას ეძიონ სხვა ინტერნაციონალი.

დამსწრე.

ქრონიკა

◆ 4 აპრილს, საღამოს 7 საათზე სახალხო უნივერსიტეტში ლაისტერი წაიკითხავს ლექციას ეკონომიურ გეოგრაფიიდან, 5 აპრილს ანთაძე—საქართველოს ისტორიიდან, ბარნოვი—ქართულ ლიტერატურიდან და სუდაკოვი—ასტრონომიიდან. კვირას შესდგება ყველა ლექტორების კრება.

◆ **ქართოფილი.** აპრილის 1-ს სადგურ ბორჯომში გაიგზავნა 7 ვაგონი ქართოფილის მოსატანათ. ქართოფილი იგზავნება სასურსათო სახალხო კომისარიატის სახელზე.

◆ **სასურსათო ტვირთის გაგზავნა.** აპრილის 1-ს საქართველოს რკ. გზ. სადგურების უფროსებს მიეწერა, რათა ყველა სასურსათო საქონელი მიღებ[illegible] და გაგზავნილ იქმნას სასწრაფოთ [illegible] ხედრო ტვირთების თანახმად.

◆ **ქალაქის ლომბარდში.** აპრილის 2-ს ქალაქის ლომბარდში ქალაქის უღარიბეს მცხოვრებთ დაურიგდებათ უფასოთ დაგირავებული ნივთები.

◆ **მილიციაში.** ქალაქის მილიციის რაიონებს დაერქვა ნაწილები და რაიონის უფროსებს—ნაწილის კომისრები.

◆ **კურსები საბჭოთა ჟურნალისტებისთვის.** საბჭოთა ჟურნალისტების კურსების გამგეთ დაინიშნა ამხ. პალმოვი. კურსები იხსნება 40—50 კაცისთვის სამი თვის განმავლობაში. ლექციები წაკითხული იქნება რუსულ და ქართულ ენებზე. ქართული ენა, ისტორია და ლიტერატურა ყველასთვის იქმნება სავალდებულო. კურსანტებს მიეცემათ 6000 მანეთი თვეში, ულუფა და უფასო სადილები.

◆ **[illegible] და თეთრი ნავთი [illegible].** აპრილის 2-ს სადგურ ნავთლუღ[illegible] სამხრეთ[illegible] [illegible]ორიპლით გაიგზავნა [illegible] ქვაბი [illegible] და 10 ქვაბი თეთრი ნავთი.

ტყეების დამუშავება. სატყეო მეურნეობის კომისიის სხდომაზე დადგენილ იქმნა, რათა მიეცეს საქართველოს რკინის გზების უფროსს მანდატი ტყეების დამუშავებისა: აჯამეთისა, ნიკორწმინდისა და საჩხერისა. ამ ტყეების დასამუშავებლად გადადებულია 200 მილიონი მან.

წამლობა რკინის გზის მოსამსახურეთა. წითელი ჯვრის რუსეთის საზოგადოებამ აცნობა საქართველოს რკინის გზების უფროსს, რომ რკინის გზის ავადმყოფ მოსამსახურეებს, რომლებიც მოთავსდებიან წითელ ჯვრის საზოგადოების დაწესებულებაში, სწამლობდენ უფასოთ.

ქალაქის ადგილების დათესვა. თბილისის ქალაქის რევკომის კომინალურმა განყოფილებამ დაადგინა შეიტანოს ორი მილიონი მანეთის სხვა და სხვა თესლეულობა, რომელიც დაურიგდება იმ პირთ, ვინც იჯარით აიღო ქალაქის თავისუფალი ადგილები დასამუშავებლათ.

სახალხო სასამართლოები აჭარაში. ბათომი, 2 აპრ. (საკ. კორესპ.). იუსტიციის განყოფილება შეუდგა სახალხო სასამართლოების მოწყობას აჭარაში, რომელნიც შეფარდებულნი იქნებიან ადგილობრივ ყოფა-ცხოვრებასა და ეროვნულ თვისებებთან.

პირდაპირი მიმოსვლა ბათომ-თბილისს შუა. ბათომი, 2 აპრ. (საკ. კორესპ.). უკან დახეულ მენშევიკების მიერ ჩატეხილი ხიდი საჯავახოსთან, რომელიც აძნელებდა პირდაპირ მიმოსვლას თბილისთან, სწრაფათ კეთდება და მზად იქნება 5 აპრილისთვის.

გემ „ჯორჯია“-ს მოსვლა. ბათომიდან მიღებულ ცნობით 23 მარტს იტალიიდან ბათუმში მოვიდა გემი „ჯორჯია“ იტალიის დროშით. გემმა მოიტანა ფქვილის დიდი რაოდენობა, სამაგიეროთ დაიტვირთა ხე-ტყით და საქონლით. ამავე გემით ბათუმში მოვიდენ რამოდენიმე იტალიის კომერსანტები, რომლებმაც დასტოვეს თბილისი და ბათუმი მენშევიკების მთავრობასთან ერთათ.

შრომის კომისარიატისაგან. შრომის სახალხო კომისარი ამხ. დუმბაძე და კოლეგიის წევრი ამხ. არჩილ მიქაძე იღებენ მთხოვნელებს ყოველ დღე, [illegible] უქმეს გარდა, დღის 12-დან 1½ საათამდე.

საქართველოს პროფესიონალურ კავშირის საბჭოს ბიბლიოთეკა. პროფესიონალურ კავშირის საბჭოსთან, მუშათა სასახლეში, გახსნილია ცენტრალური ბიბლიოთეკა. განმანათლებელ კავშირების წევრთ, რომელთაც სურთ სახლში წაიღონ წიგნები, უნდა წარმოადგინონ [illegible] თავის კავშირის კულტურულ საბჭოსაგან. ბიბლიოთეკასთან არსებობს სამკითხველო, არის ყველა ადგილობრივი გაზეთები, ბროშიურები და სხვა. ბიბლიოთეკა ღიაა დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

განცხადება. სასურსათო სახალხო კომისარიატის განკარგულებით სასურსათო ბიუროს პირველი ნაწილი სთხოვს პირველი ნაწილის საბინაო კომიტეტების წარმომადგენლებს დაესწრონ საზოგადო კრებას, რომელიც დანიშნულია 7 აპრ., საღამოს 6 საათზე, ყოფილ სკოლის შენობაში, წყნეთის ქუჩაზე, № 2. საბინაო კომიტეტის ორი წევრის ასარჩევათ სასურსათო სამეულში. თხოვენ ნუ დააგვიანებენ.

მზის დაბნელება. თბილისის ფიზიკური ობსერვატორია იუწყება: ვინაიდან აპრილის 8-ს მოსალოდნელია თბილისში მზის ნაწილობრივი დაბნელება, თბილისის ფიზიკურ ობსერვატორიის სამეცნიერო საბჭო მოუწოდებს ყველა მსურველს მონაწილეობა მიიღოს დაკვირვების მოწყობაში სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე აპრილის 3-ს დღის 12 საათზე ობსერვატორიის შენობაში პლეხანოვის პროსპექტი, № 150.

კერძო პურის ცხობა. „სურსათის“ პროფკავშირებისა და ფურნეების პატრონთა გაერთიანებულ სხდომაზე შემუშავებულ იქმნა კერძო პურის ცხობის შემდეგი წესები: 1) მოისპოს ნიხრი ფქვილზე, ხორბალზე და პურზე. 2) დაარსდეს 12 წევრიანი საკანტროლო ბიურო კავშირის და ფურნეების პატრონების წარმომადგენლებისაგან შემდგარი. აქიდან 7 კაცი იქნება მუშების გან და 5 ფურნეების პატრონებისაგან, [illegible] ყველა პურის კერძო ფურნეებს და პურით მოვაჭრეებს და აგრეთვე შეეძლოს პასუხის გებაში მისცეს პურზე ფასის აწევისთვის. საკონტროლო ბიუროში უნდა შევიდნენ სასურსათო სახალხო კომისარიატისა და ქალაქის რევკომის წარმომადგენელნი.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა.

ყოველთვის ძალზე გაჭედილი დარბაზი საოპერო თეატრისა და ის ფართო ყურადღება, რომელსაც იჩენს მასსა ახლა, როდესაც მას სტუმართ-მოყვარულად, ფართოდ გაუღეს დიდ თეატრების კარები, გვაჩვენებს, თუ რა ძლიერ სწყურია ამ მასსას მხატვრული შთაბეჭდილებანი. მსახიობები ამბობენ, რომ ახალ მაყურებლის მახვილმა ყურადღებამ შემატა მათ ახალი ძალა შემოქმედ მუშაობაში. მყარდება მაყურებლების და არტისტის ერთობა, რომლისაგანაც წარმოდგება ჭეშმარიტი ცოცხალი ხელოვნება.

ოპერა, რომელიც აერთებს იმდენ ნაირ-ნაირ მხატვრულ საშუალებათ, როგორც მუსიკა, პოეზია, ცეკვა, მხატვრობა (დეკორაცია, კოსტიუმები, გრიმები) წარმოადგენს მასსის მხატვრულათ აღზრდის ურთ-ერთ უძლიერეს იარაღს და ამ ძლიერ იარაღს უნდა მიექცეს გაორკეცებული ყურადღება, იგი უნდა იყოს მეტ მარჯვე ხელში, რასაკვირველია, ეხლა ჩვენ ჯერჯერობით უნდა დავკმაყოფილდეთ იმ საშუალებით და ძალებით, რომელნიც ხელთა გვაქვს, რომელთ შორის მცირე არაა პირველ ხარისხოვან არტისტულ ძალთა რიცხვი, მაგრამ ეხლა კავშირი მყარდება საბჭოთა მსხვილ ცენტრებთან და ეს საშუალებას მისცემს ჩვენი საოპერო საქმის ხელმძღვანელებს მოიყვანონ იქიდან ახალი ძალები. უნდა გაფართოვდეს რეპერტუარი: მასში უთუოდ უნდა შევიდეს სხვა ქართულ ოპერებთან ერთად მშვენიერი ოპერა არაყიშვილისა „თქმულება შოთა რუსთაველზე“. უნდა გამოცოცხლდეს რუსული რეპერტუარიც.

მკითხველის წერილები

ბურჟუაზია თავისას არ იშლის.

თანახმად უკვე გამოქვეყნებულ განკარგულებისა უნდა მომხდარიყო რეგისტრაცია მუსიკალურ ინსტრუმენტებისა. ასეთი უკვე დაიწყო და აქამდის კიდევაც უნდა დამთავრებულიყო. ბურჟუაზია თავისას არ იშლის და, თქვენ დღეს ვერ ნახავთ ვერც ერთს პიანინოს ან როიალს უბარათოთ. ვითომც და ასეთების პატრონი ან მისი შვილი იყოს მასწავლებელი ან მოწაფე. ეს ხომ ძვირი არ უჯდებათ? საკმარისია მიიყვანონ მუსიკალურ სასწავლებელში შვილი, შეიტანონ სამოსწავლო ფული და ბარათიც მზათაა.

აღსანიშნავია მეორე გარემოებაც. ჩვენს დედა ქალაქში ბევრი მოიპოვება სხვა ეროვნების პირი. მათ საწინააღმდეგო ჩვენ არაფერი გვაქვს, მაგრამ აღსანიშნავია ისა, რომ ბევრი მათგანი სხვადასხვა მოსაზრების გამო ხან ერთი სახელმწიფოს ქვეშევრდომია და ხან მეორესი. ერთი სიტყვით, როგორც მოეპრიანებათ და მოესურვებათ. ბევრი მათგანი მფარველობას უწევენ მუსიკალურ ინსტრუმენტებსაც. თქვენ დღეს ბევრგან ნახავთ უცხო ქვეშევრდომის ოჯახში მუსიკალურ ინსტრუმენტს, რაც ამ რამოდენიმე დღის წინეთ სრულიადაც არ მოეპოვებოდა. მაგრამ ტყვილად ისჯებიან. ჩვენ ყოველთვის ვუდექით დარაჯათ ჩვენს დადგენილებების ცხოვრებაში სისწორით გატარებას, და მომავალშიც ასე იქნება.

პ. ქ.

მუშათა ცხოვრება

პროფკავშირების საბჭოს პლენუმის სხდომა.

3 აპრილს შესდგა პროფკავშირების საბჭოს პლენუმის მრავალრიცხოვანი კრება. სხდომა ამხ. კურულაშვილმა გახსნა, რომელმაც შეატყობინა, რომ დაეცა კონტრევოლიუციის უკანასკნელი ბურჯი ერევანი.

შემდეგ ამხ. კურულაშვილმა გააკეთა დაწვრილებითი მოხსენება, რომელშიაც დაასურათა პროფკავშირების ორგანიზაციითა სქემა წარმოებით პრინციპის თანახმათ, შემუშავებული რუსეთის პროფკავშირების მესამე ყრილობის მიერ. პროლეტარიატის დიქტატურის ხანა და კომუნისტურ პარტიის პროგრამა გვაკარნახებენ პროფკავშირების როლისა და მიზნების საკითხის შესახებ ისეთ დირექტივებს, რომელნიც სრულიად განსხვავდებიან იმ დირექტივებისაგან, რომლებითაც დღემდე ხელმძღვანელობდნენ ეს ორგანიზაციები. პროფკავშირები უნდა განთავისუფლდნენ ამქრულ სივიწროვისაგან და გადაიქცნენ ძლიერ წარმოების ორგანიზაციებათ, რომლებშიაც შევლენ ამ წარმოების ყველა მშრომელნი. მშრომელთა ამ ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ბეჯითი მონაწილეობა სახალხო სამეურნეო ცხოვრების აღმშენებლობაში. პროფკავშირები ორნაირ მიზანს მისდევენ: საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ აპარატის დემოკრატიზაციისთვის ბრძოლას და ნამდვილი კონტროლის დაწესებას წარმოების ნაყოფიერებაზე. ყველა ეს უკვე შესრულებული აქვს საბჭოთა რუსეთს. ჩვენ კი ამ მხრივ უკან ჩამოვრჩით და ჯერ კიდევ ვიწრო ამქრულ ფარგლებში ვზივართ. დროა გამოვიდეთ პროფესიონალურ აღმშენებლობის ფართო გზაზე, დროა შევუდგეთ მუშაობას, რომელიც გააადვილებს მუშათა კლასს ცხოვრების საუკეთესო ფორმებისათვის ბრძოლას. ჩვენში კავშირებმა, რომელნიც დღემდე ამ ამქრულ პრინციპებზე შენდებოდნენ, რაც შეიძლება ჩქარა უნდა სძლიონ [illegible] ჯგუფების განკალკევების და კარჩაკეტილობის ტენდენციებს. რაც უფრო ჩქარა მოხდება ეს, მით უკეთესი. იქნება ეს მუშაობა, რაც შეიძლება მეტის ინტენსივობით, მაგრამ ამავე დროს დიდი სიფრთხილით უნდა სწარმოებდეს, რათა თავიდან აცილებულ [illegible] და აჩქარებული გადასვლა კავშირების [illegible]რებისა ერთი ორგანიზაციიდან მეორეში.

პროფესიონალურ მომავალ აღმშენებლობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მჭიდრო კავშირის დამყარებას პროვინციასა და ადგილობრივ მოღვაწეებთან.

დასასრულ კურულაშვილი შეეხო პროფკავშირების იმ ხელმძღვანელებს, რომლებმაც დასტოვეს კავშირები და გაიქცნენ. ეხლა ისინი ბრუნდებიან და განზრახვა აქვთ განაგრძონ პროფკავშირების მოძრაობის ხელმძღვანელობა. როგორი პასუხი უნდა მივცეთ ჩვენ მათ: (ისმის ხმები: „სირცხვილი მათ, გვიან არის“) ჩვენ მათ ასე ვეტყვით: შორს ხელები პროფკავშირებისაგან. როდესაც რევოლიუცია იმარჯვებს, მაშინ ის ძალით იჭერს თავის პოზიციებს. თქვენ მიერ მიტოვებული საქმე ახლა უფრო საიმედოების ხელშია და ეს ხელები წაიყვანენ საქმეს მუშათა მოძრაობის გუშინდელ ხელმძღვანელების დაუხმარებლათ.

ამხ. კურულაშვილის მოხსენება დამთავრებული იქმნა ტაშით.

პროვინციის ცხოვრება

ს. აცანა. გურიის ყველა სოფლებში გახურებული მუშაობაა. ყველგან იმართება მიტინგები, შესდგა ყოველგან რევკომები. აღდგენილ იქმნა პარტიული იაჩეიკები ყოველგან. სხვა სოფლებს არ ჩამორჩა აცანაც. ადგილობრივი რევკომის მიერ 29 მარტს ს. აცანაში მოწვეულ იქმნა მიტინგი, რომელსაც ბევრი ხალხი დაესწრო. მიუხედავათ იმისა, რომ ამ სოფელში იყვნენ თავმოყრილი გურიის ცნობილი მენშევიკები, რომლებიც ათასგვარ ჭორებს ავრცელებდნენ ჩვენზე, ხალხი მაინც დიდის ინტერესით მოეპყრა ჩვენს ორატორებს და განცვიფრებული დარჩა, როდესაც დაინახა, რომ მათ წინაშე ლაპარაკობენ არა ყაჩაღები (როგორც მენშევიკები არწმუნებდენ ხალხს), არამედ ისეთი პიროვნებები, რომლებიც მოუწოდებდენ ხალხს შრომისაკენ და მყვლეფელ-დამჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. მიტინგზე ილაპარაკეს ამხ. ქურიძემ და ორაგველიძემ, რომლებიც ფართოდ შეეხენ ყველა საჭირბოროტო კითხვებს და გაარკვიეს. მენშევიკების პროვოკაციულ მუშაობას სოფლებში ფარდა ეხდება. ხალხი დარწმუნდა, რომ ისინი მუდამ სტყუოდენ და [illegible] მას, ამიერიდან ხალხის მოტყუებას ადგილი აღარ უნდა ექნეს და პასუხი უნდა გავსცეთ მენშევიკების პროვოკაციულ მუშაობას. რაც შეიძლება მეტი მუშაობა, რაც შეიძლება მეტი გაძლიერება ჩვენი ორგანიზაციის,—აი რა უნდა იყოს ადგილობრივი რევკომის და პარტიული ამხანაგების მორიგი მიზანი. თავის რეზოლიუციაში აცანის მიტინგი ესალმება ახალ მთავრობას და ფიცს სდებს, რომ მასთან ერთად იბრძოლებს მშრომელთა ინტერესების დასაცავათ. ასეთივე რეზოლიუციები გამოიტანეს ახლო-მახლო სოფლებმა აკეთმა, ჰანჰათმა, ნიგოითმა. აცანაში დაარსდა ახალგ. მუშათა და გლეხთა კომუნისტური ორგანიზაცია, რომელშიაც ჯერჯერობით 30-მდი ახალგაზრდა გლეხები ჩაეწერა. თავის კრებაზე, რომელსაც დაესწრო გურიის კომიტეტის წევრი, ორგანიზაციამ ამოირჩია ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც უნდა გაუძღვეს აწინდელ მუშაობას. ორგანიზაციამ გახსნა ბიურო, სადაც ეწერება ორგანიზაციის წევრები და კითხულობენ ჩვენს გაზეთებს. მიღებულია ზომები, რომ ასეთი ორგანიზაციები დაარსებულ იქმნეს აკეთში, ძიმითში და და ჰანჰათში. ერთის სიტყვით ახალგაზრდობა თავის სიმაღლეზე დგას. ახალგაზრდობა განაგრძობს დაწყებულ საქმეს, ის პირნათლათ შეასრულებს თავის მოვალეობას.

სპარტაკი.

პლებისციტი ნეიტრალურ ზონაში. ეკატერინოფელდი, 3 აპრილი (საკ. კორესპონდენტისაგან). ვარანცოვკაში შესდგა ნეიტრალური ზონის 18 სოფლის წარმომადგენელთა ყრილობა საბჭოთა სომხეთის და საბჭოთა საქართველოს რწმუნებულთა თანადასწრებით. იმ კითხვის განხილვის დროს, თუ რომელ ცენტრთან, ან რომელ მეზობელ სოფლებთან სურთ შეერთება, გამოირკვა, რომ 18 სოფლიდან—16 სურს საქართველოსთან შეერთება, არა რაიმე ეროვნული განზრახვების, არამედ მხოლოდ ეკონომიური და გეოგრაფიული პირობების გამო, რომელიც აკავშირებს მათ თბილისთან.

ბორჯომიდან. საქართველოს რევკომის თავმჯდომარემ მიიღო შემდეგი დეპეშა: ბორჯომის ქარხნების მუშების კრებამ, მოისმინა რა მოხსენება ამხანაგ გიორგი ელისაბედაშვილისა დღევანდელი მომენტისა და თანამედროვე საკითხის შესახებ, დაადგინა: „სალამს უძღვნის საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის პროლეტარიატს და მის ავანგარდს წითელ არმიას, ფიცს სდებს მუშურ-გლეხურ ხელისუფლების განსამტკიცებლათ და მოწინავე ამხანაგების მიერ გადადგმულ ნაბიჯს ხელი შეუწყოს და მთელი თავისი არსებით იბრძოლოს მისი გამარჯვებისთვის. ვრაცხთ ჩვენს მოვალეობათ მივიღოთ მხურვალე მონაწილეობა მსოფლიო პროლეტარიატ ერთად საბჭოთა [illegible] მუნიზმის დამყარებაში.

გაუმარჯოს რუსეთის პროლეტარიატის რევოლიუციონურ გლეხკაცობას, მის წითელ არმიის მებაირახტრე ლე ტროცკის, ჯუღაშვილს და სხვებს. გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერ ციონალს და მის ერთ რაზმთაგანს ქართველთ კომუნისტურ პარტიას! გაუმარჯოს საქართველოს სოციალის საბჭოთა რესპუბლიკას! მიტინგის თავმჯდომარე ვახილ დეკანოიძე.

სურამიდან. სურამის სახალხო კლუბში მომხდარმა მიტინგმა, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. გიორგი ელისაბედაშვილმა, შემდეგი რეზოლიუცია მიიღო:

ჩვენ ქალაქ სურამის და მისი მახლობელი სოფლების მცხოვრებნი სალამს უძღვნით საქართველოს რევკომს, რომელიც ჭეშმარიტი გამომხატველი და მედგარი დამცველია მუშათა და გლეხთა ინტერესებისა. ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ ჩვენი მარადის თანხმობით და წითელი არმიის მამაცური ბრძოლით საბოლოო გამარჯვებას მოუპოვებთ მაშვრალთა კერას.

ზიზღსა და კრულვას უცხადებთ ძველ ლტოლვილ მენშევიკურ მთავრობას, რომელმაც ჩამოგვაშორა რა რუსეთის რევოლიუციონურ გლეხკაცობას და რევოლიუციის ავანგარდს—პროლეტარიატს, საქართველო დაღუპვის გზამდის მიიყვანა.

იმედს გამოვსთქვამთ, რომ აღდგენილი კავშირით და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის გზით ჩვენ ავაყვავებთ ჩვენს მუშურ-გლეხურ სამშობლოს და სრულის გამარჯვებით ბურჟუაზიაზე გავამეფებთ კომუნისტურს წესწყობილებას.

გაუმარჯოს საქართველოს რევკომს და წითელ არმიას! გაუმარჯოს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას! გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას და მის მებაირახტრეს მესამე ინტერნაციონალს!

მიტინგის თავმჯდომარე ბ. ნადირაძე.

ფოსტა

საქართველოს კომ. პარტიის თბილისის კომიტეტს, მის სარაიონო ბიუროებს რეგულიარულათ მოგვაწოდეთ ცნობები პარტიულ მუშაობის შესახებ.

საქართვ. კომპარტიის ორგანიზაციებს პროვინციაში. მოგვაწოდეთ შეძლებისა დაგვარათ რეგულიარულათ ცნობები პარტიულ მუშაობის შესახებ და კორესპონდენციები პროვინციის ცხოვრებიდან.

პროფესიონალურ კავშირებს. მოგვაწოდეთ რეგულიარულათ ცნობები პროფესიონალურ ცხოვრების შესახებ.

სარედაქციო კოლეგია.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი ამით აუწყებს

თბილისის მაზრის ორგანიზაციებს, რომ თბილისის მაზრა გადავიდა თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობაში და ყოველივე სამაზრო საქმეებისთვის მიმართონ თბილისის კომიტეტში სამაზრო საქმეების მდივანს.

თ. კ. მდივნის მაგიერ: ლ. სუხიაშვილი.

სახალხო მომღერალ-მგალობელთა გუნდი

მიხეილ კავსაძის ხელმძღვანელობით ხსნის

სახალხო სიმღერა-გალობის კურსებს

კვირაში ორჯერ: ოთხშაბათობით და პარასკეობით საღ. 6—8 საათამდე, მუშათა სასახლის მე-5 სართულში (პროფესიონალ. კავშირ.) რუსთაველის პრ., № 17.

ყველა ახალგაზრდათა კომკავშირების საქალაქო, სამაზრო და სარაიონო კომიტეტებს

წინადადებას გაძლევთ დაჩქარებით დაუკავშირდეთ საქარხნო კომიტეტებს, პროფკავშირებს და მათი საშუალებით მოგვაწოდოთ 18 წლამდე ახალგაზრდა მომუშავეთა აღრიცხვითი ცნობები, რათა ვიცოდეთ ფიზიკურად მომუშავე ახალგაზრდების რიცხვი საწარმოო დარგებში.

პასუხის-მგ. მდივანი: ამხ.
ეკ.-უფლებ.-გან.-გამგე დევდარიანი.

ორგანიზაციების და დაწესებულებების საყურადღებოდ

ცხადდება, რომ გაზეთ „კომუნისტი“-ში დასაბეჭდი განცხადებები და ანგარიშები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე; სხვა ენაზე დაწერილი მასალა არ მიიღებ

გაზ. „კომუნისტი“-ს
მიღება შეიძლება ბრესტას ცენტრალურ ექსპედიციაში, (რუსთაველის პრ. №1